საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ.№53-ში დასაპროექტებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ს/კ 01.10.14.028.002) კონსტრუქციულ ნაწილზე

ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ.№53-ში (ს/კ 01.10.14.028.002) დასაპროექტებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შედგება:

2 მიწისქვეშა და 11 მიწისზედა სართულისაგან.

სამშენებლო უბანი ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

1. სეისმურობა – 8 ბალი;

2. ქარის დატვირთვა – 70 კგძ/მ^2.;

3. თოვლის დატვირთვა – 50 კგძ/მ^2.

ქვაბულის ფერდის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებულია 2 რიგად განთავსებული 0.4 მ. დიამეტრის, ბურღვით-ნატენი ხიმინჯების ფარდა.

საძირკვლის კონსტრუქციას წარმოადგენს 0.8, 0.6 მ. სისქის საძირკვლის მონოლითური ფილის და 0.8, 1.0 მ. დიამტერის ბურღვით-ნატენი ხიმინჯების ერთობლიობა.

საძირკვლის ფუძედ მიღებულია სუსტად გამოფიტული არგილიტების და ქვიშაქვების მორიგეობა საანგარიშო წინაღობა Rcn=54.0 კგძ/სმ^2.

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასი:

მონოლითური სვეტები – კვეთით (60X90, 60X80, 50X50, 40X40, 60X40, 60X195, 40X100, 80X80, 20X40, 20X20, 90X175, 70X90) სმ;

რიგელები – კვეთით (40X55, 30X55, 20X55, 40X70, 70X55, 40X40, 175X55, 40X50, 40X60, 30X60, 20X60, 20X50, 20X20, 50X60) სმ.

შენობის სართულშუა გადახურვები განხორციელებულია რკინაბეტონის მონოლითური ფილებით სისქით 22 და 20 სმ.

კარკასის შევსება წვრილი ბლოკით, სისქით 20 სმ.

კიბის კონსტრუქცია – რკინაბეტონის მონოლითური.

საპროექტო შენობის და ქვაბულის ფერდის დამჭერი ბურღვით-ნატენი ხიმინჯების ფარდის გაანგარიშებები ჩატარებულია გამოთვლითი კომპლექსის „LIRA Sapr 2016“-ის საშუალებით, რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს და რეალიზებულია გადაადგილებებში.

პროექტი შესრულებულია მაღალ-პროფესიულ დონეზე, საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმატივების დაცვით და ეძლევა ცალსახად დადებითი შეფასება.

ექსპერტი –საკონსტრუქტორო

განყოფილების.მთ.სპეციალისტი გ.რეხვიაშვილი

30.08.2023 წ.